ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 4 დეკემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 8

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 8

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. ვლადიმერ ქანთარია
8. ბექა მამაცაშვილი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღეს იყო მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს პირველი სხდომა და ახალ არჩეულ ბიუროს წევრებს მიულოცა თანამდებობებზე არჩევა და წარმატებები უსურვა მათ, როგორც პირად ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვ. გაბედავას 2017 წლის 24 ნოემბრის N518 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კ. ლატარიას 2017 წლის 24 ნოემბრის N521 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა და საფინანსო - სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თ. გულუას 2017 წლის 24 ნოემბრის N523 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიაში გაწევრიანების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ი. ჯიშკარიანის 2017 წლის 24 ნოემბრის N524 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწევრიანების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. განკარგულების პროექტის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის ბ. მამაცაშვილის 2017 წლის 24 ნოემბრის N525 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შექმნის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. ნადარაიას 2017 წლის 29 ნოემბრის N530 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა და საფინანსო - სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ი. ნადარაიას 2017 წლის 29 ნოემბრის N531 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობის" შემადგენლობის დატოვების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

9. N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას 2017 წლის 1 დეკემბრის N82/2017 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პარტიული სიის გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

10. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N05/5497 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

11. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N03/5508 წერილის განხილვა:

- შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

12. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 4 დეკემბრის N06/5528 და 5 დეკემბრის N06/5532 წერილების განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვ. გაბედავას 2017 წლის 24 ნოემბრის N518 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ვ. გაბედავას განცხადება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვარაზ გაბედავა დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ, რაც კანონმდებლობის თანახმად შეუთავსებელია საკრებულოს წევრობასთან. ვ. გაბედავა საკრებულოში შემოვიდა განცხადებით საკრებულოს წევრისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. კომისიის მიერ განხილულ იქნა ზემო აღნიშნული განცხადება და მომზადდა განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვარაზ გაბედავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ" (ოქმს თან ერთვის). გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კ. ლატარიას 2017 წლის 24 ნოემბრის N521 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა და საფინანსო - სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო კ. ლატარიას განცხადება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა და საფინანსო - სარევიზიო კომისიებში გაწევრიანების თაობაზე და კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-3,მე-4, მე-5 და მე-7 საკითხებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები კახა ლატარია, მერაბ ნადარაია, თემურ გულუა და ია ჯიშკარიანი საკრებულოში შემოვიდნენ განცხადებით საკრებულოს კომისიებში გაწევრიანების თაობაზე. განცხადებების საფუძველზე კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტები, ზემო აღნიშნულ კომისიებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. რაც შეეხება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, აქ ხორციელდება ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ გია წულაია არ იქნა შეტანილი, პირველ განკარგულებაში, წარმოდგენილი პროექტით კი ხორციელდება ამ ხარვეზის აღმოფხვრა. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

მომხსენებელი (თ. გელანტია) შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილ პროექტებს ერთობლივად უყარონ კენჭი საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

ბიუროს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ წინადადებას წარმოდგენილი პროექტების კენჭისყრას, საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის ბ. მამაცაშვილის 2017 წლის 24 ნოემბრის N525 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შექმნის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის განცხადება, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შექმნის თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრთა ჯგუფის მიერ შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", რის დასტურადაც ფრაქციის თავმჯდომარის ბექა მამაცაშვილის მიერ საკრებულოს პირველ სხდომაზე წარმოდგენილ იქნა განცხადება ფრაქციის შექმნის შესახებ, რაც დასტურდება ფრაქციის წევრთა ხელმოწერით, ხოლო საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შექმნის შემდეგ წარმოდგენილ იქნა ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით სრულყოფილი დოკუმენტაცია. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ფრაქციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია რეგისტრირებულ იქნეს ფრაქცია საკრებულოს ბიუროს მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" რეგისტრაციის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: რეგისტრირებულ იქნეს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ი. ნადარაიას 2017 წლის 29 ნოემბრის N531 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობის" შემადგენლობის დატოვების თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ი. ნადარაიას განცხადება, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობის" შემადგენლობის დატოვების თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2017 წლის 22 ნოემბრის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრის კობა გოქაძის მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება, საკრებულოს წევრებთან დიტო ხასიასთან და ირაკლი ნადარაიასთან ერთად ფრაქცია „ხობის" შექმნის თაობაზე. განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტაცია წარედგინებოდა საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიას. მიუხედავად კომისიის თავმჯდომარის არაერთი სიტყვიერი მოთხოვნისა ფრაქციის თავმჯდომარის მხრიდან სადამფუძნებლო დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ ყოფილა, რაც აძლევდა კომისიას საფუძველს მოემზადებინა დასკვნა ფრაქციის გაუქმების თაობაზე, თუმცა 29 ნოემბერს ფრაქცია „ხობის" წევრმა ირაკლი ნადარაიამ მიმართა საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიას ფრაქცია „ხობის" დატოვების თაობაზე, რომლის თანახმადაც საკრებულოს ფრაქცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ისედაც გაუქმებულად ითვლება. გამომდინარე აქედან კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ხობის" გაუქმების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

5. N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას 2017 წლის 1 დეკემბრის N82/2017 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პარტიული სიის გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პარტიული სიის გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრს ირაკლი ბერაიას ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე, საკრებულოს წევრისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიიდან წარმოდგენილ იქნა ი. ბერაიას უფლებამონაცვლის რამინ ხილაძის კანდიდატურა. გამომდინარე აქედან კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის რამინ ხილაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ" (ოქმს თან ერთვის), პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N05/5497 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები 1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ; 2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“; 3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ: 1) მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესდების შესაბამისად, ბალანსიდან ბალანსზე

ჰქონდა გადაცემული საწესდებო კაპიტალის სახით, რომელიც საერთო ჯამში შეადგენდა 1,853,571.11 ლარის ღირებულების ქონებას. ამ ეტაპზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზემო აღნიშნული ქონება გადაეცემა მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით; 2) მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონება, მდებარე ქალაქი ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №188, არის ამორტიზირებული. დაკარგული აქვს ძირითადი ქონების პირვანდელი იერსახე და ფუნქცია. შენობის მეორე სართული არის ავარიულ მდგომარეობაში, სახურავი არის დაზიანებული ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მის აღდგენას და შეკეთებას ესაჭიროება დიდძალი ხარჯები, რომლის საშუალება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ გააჩნია. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მას დაქვემდებარებული სტრუქტურები ვერ სარგებლობენ აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფართით, რის საფუძველზეც, წლების განმავლობაში გამოუსადეგარი და ძვირადღირებულ სარეაბილიტაციო ხარჯებს დაქვემდებარებული ქონება, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შეტანილ იქნეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში და გასხვისდეს. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ეტაპზე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ". ამასთან მერიის შესაბამისი სამსახური თავის განმარტებით ბარათში აღნიშნავს, რომ საკრებულოს მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწვეულ იქნება აუდიტორი ობიექტის საპრივატიზებოდ მომზადების მიზნით, ხოლო შენობის პირველ სართულზე იჯარის წესით გაცემულ ფართებთან დაკავშირებით მერია შეუდგება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელებას; 3) მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე განთავსებული საოფისე ფართი 6,6 კვ. მეტრი, ერთი წლის ვადით გაცემული იყო იჯარის წესით, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო საიჯარო ხელშეკრულება გაუქმებულ იქნა. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ფართი ისევ გაიცეს სარგებლობის უფლებით, იჯარის წესით, რითაც გარკვეული თანხა იქნება მობილიზებული ადგილობრივ ბიუჯეტში, ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილია განკარგულების პროექტი ფართის აუქციონის წესით, 3 წლის ვადით

იჯარის წესით გაცემის შესახებ. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით უფრო უპრიანი იქნებოდა აღნიშნული ფართი ისევ გაიცეს სარგებლობის უფლებით, იჯარის წესით, ოღონდ არა სამი წლით, არამედ ერთი წლის ვადით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, სასურველი იქნებოდა ეს საკითხი განხილულიყო მერიის შესაბამის სამსახურთან და ამის შემდგომ ყოფილიყო გადაწყვეტილება მიღებული საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N03/5508 წერილის განხილვა:

- შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების

ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა: 1) გამგეობის განმარტებით, საქართველოს კანომდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიაში მზადდება მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტი შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ წესდების დამტკიცების თაობაზე, რისი წინაპირობაა საკრებულოს მიერ დამტკიცებული „შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება, კერძოდ ძალადაკარგულად ცხადდება შპს-ს წესდება; 2) მუნიციპალიტეტის მერის მიერ მტკიცდება შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ ახალი წესდება, რომლის მომზადების პროცესში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს-ს უფლებამოსილებას დაემატოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება და გარე პერიმეტრის (მიმდებარე ტერიტორია, საქმიანი ეზოები და ა.შ.) მოვლა და მოწესრიგება. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავების ფუნქციის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირისთვის გადაცემის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხიდან ხორციელდება, შრომითი ხელშეკრულებით დამლაგებლებისთვის გათვალისწინებული პოზიციების ამოღება, მერიის საშტატო ნუსხიდან ასევე გამოთავისუფლდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ შენობაში დასაქმებული დარაჯისთვის გათვალისწინებული პოზიცია, შენობის დაცვის სასიგნალო სისტემაზე გადასვლისთვის მზადების გამო. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 4 დეკემბრის N06/5528 და 5 დეკემბრის N06/5532 წერილების განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. გამომსვლელის განცხადებით მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა